



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

17 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №283

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის სერვისცენტრი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“, „ს“ ქვეპუნქტების, მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ოზურგეთის სერვისცენტრი“-მ, გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელახალი ტენდერის გამოსცხადებამდე და ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე, განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვა (ღირებულებით 3990 ლარი) და ავტომანქანის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების შესყიდვა (ღირებულებით 3400 ლარი) გამარტივებული შესყიდვის წესით.
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ოზურგეთის სერვისცენტრის“ დირექტორს (ვ.სალუქვაძეს) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე